ოქმი:ო63. 63223484
თარიღი:14/12/2022

სამტრედიის მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ო ქ მ ი N03

ქ. სამტრედია 13 დეკემბერი, 2022 წელი

2022 წლის 13 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ნათია პაპავას ხელმძღვანელობით, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ნათია პაპავა, ნუგზარ ჯამბურია , ვაჟა სტურუა, ტარიელ ცომაია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი, თამილა კეკელიძე, სოფიკო ახობაძე, იზოლდა ნადირაძე, მაკა ხარებავა, ნინო შარაშენიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. **,, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის“ გაცნობის შესახებ.**

   /მომხსენებელი:სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

2. **2022 წელს, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გამართული ღონისძიებების გაცნობის შესახებ.**

   / მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში - თამილა კეკელიძე /

3. **UNDP-ის მცირე საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღების შესახებ.**

   / მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მრჩეველი გენდერული თანასწორობის

საკითხებში - თამილა კეკელიძე /

4. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (13 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ნათია პაპავამ, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს წარუდგინა ,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა“. რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გ-63. 632233515** განკარგულებით **(01/12/2022)** დამტკიცდა.

2022-2024 წლებისათვის, საბჭოს საქმიანობის ხუთი ძირითადი მიმართულებაა განსაზღვრული:

1. ქალთა საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება.
2. მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის, მათ შორის ეკო-მიგრანტების, ეთნიკური უმცირების, დევნილების, მარტოხელა დედების, შშმ და სხვა ჯგუფების წარმომადგენელთათვის და ახალგაზრდებისთვის.
4. კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეებზე.
5. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის მონაწილობითი პროცესის უზრუნველყოფა.

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა თამილა კეკელიძემ, 2022 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გამართული ღონისძიებების შესახებ ისაუბრა.

მან აღნიშნა, რომ 25 ნოემბრიდან მუნიციპალიტეტი შეუერთდა ძადადობის წინააღმეგ მიმართულ ყველა ღონისძიებას, რომელიც 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში იყო გათვალისწინებული:

25 ნოემბერს, ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღეს, მუნიციპალიტეტში დაიწყო საინფორმაციო კამპანია. მოქალაქეებს დავურიგეთ, საინფორმაციო ბუკლეტები.

29 ნოემბერს, უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გამართეს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა.

1 დეკემბერს, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, მოვაწყვეთ პერფორმანსი ,,მოლაპარაკე ფეხსაცმელები“. ,,ჩვენ ამ ფორმით შევეცადეთ, ხმამაღლა მოგვეყოლა ქალების ამბები, იმ ქალების, რომელთა უფლებები არაა დაცული. თითოეული ქალის ფეხსაცმელი ჰყვებოდა ისტორიას. ყურადღების მიქცევის და სათქმელის ამ ფორმით გამოხატვის ეს მეთოდი, დიდი ხანია გამოიყენება მსოფლიოში სხვადასხვა აქციის დროს.

5 დეკემბერს, მოხალისეთა დღე აღნიშნეს სამტრედიის წითელი ჯვრის

წარმომადგენლებმა. ამავე დღეს, ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა აწარმოეს გამოკითხვა მოქალაქეებთან ძალადობის თემებთან დაკავშირებით და დაურიგეს საინფორმაციო ბუკლეტები. აღნიშნულ დღეს, შეუერთდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები.

6 დეკემბერს, მონრეალში მომხდარი ტრაგედიის ხსოვნის დღეს, აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით მივაწოდეთ ინფორმაცია საჯარო მოხელეებს და მოვაწყვეთ ვიდეო ფილმის ,, ხმა ამოიღეთ“ ჩვენება, სადაც ძალადობის მსხვერპლ ქალთა რეალური ისტორიებია ნაჩვენები. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს მოვაწყვეთ სამხატვრო სკოლა-გალერიის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, ნამუშევრებში ძალადობის ყველა ფორმა იყო გადმოცემული. ასევე ბავშვებთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან გაიმართა საუბარი ძალადობის ფორმებზე და აღმოფხვრის მექანიზმებზე. შეხვედრაზე მოწვეული იყო ფსიქოლოგი და სასულიერო პირი.

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, თამილა კეკელიძემ, საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია UNDP-ის მცირე საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მოგვეცა საშუალება, რათა მონაწილეობა მიგვეღო აღნიშნულ პროექტში.

გენდერული თანასწორობისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე შეუძლებელია.

ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ზრუნვის ანუ საოჯახო საქმის ტვირთია. აქედან გამომდინარე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ზრუნვის მომსახურებების შექმნა და გაუმჯობესება, ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისათვის საჭირო ინფორმაციის გაზიარება, ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებზე და მათი დახმარება აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

მეწარმე ქალებს, განსაკუთრებით კი ღარიბი და სოციალურად მოწყვლადი ქალების ჯგუფებს, როგორც წესი ან მწირი ფინანსური რესურსი აქვთ, ან საერთოდ არა აქვთ წვდომა მასზე. ამ ჯგუფებს, ასევე არა აქვთ წვდომა ინფორმაციასთან, რომელიც მათ ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებში ჩართვაში დაეხმარებოდა. შესაბამისად, საჭიროა საინფორმაციო ხასიათის კამპანიის ჩატარება, მათთან შეხვედრა, რათა მიეცეთ შანსი მცირე გრანტებზე წვდომის მისაღებად.

აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, პროექტის ფარგლებში, ჩატარდება სემინარი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის აუნაზღაურებელი შრომის თანაბრად განაწილებისა და კაცების ჩართულობის შესახებ.

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

სხდომის დასასრულს, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობის მიზნით, დებულების თანახმად შექმნილი იყო, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ნაყოფიერად იმუშავა და თავისი უფლებამოსილება ამოწურა.

ოქმს თან ახლავს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ (დანართი 1).

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: თამილა კეკელიძე

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალური გენდერული
თანასწორობის საბჭო-სამტრედიის მუნიციპალური
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი